საექსპერტო დასკვნა

IV კლასს დაქვემდებარებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან“ შესაბამისობაზე.
ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიღომი (ს/კ 01.72.14.035.142).
პროექტის შემსრულებელი–საპროექტო ორგანიზაცია შპს **„ბაზიტი“.**
დირექტორი – მ. ალიბეგაშვილი
პროექტის მთავარი არქიტექტორი – მ. კვესელავა.
ექსპერტი – არქიტექტორი მ. ბაკურაძე.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

შენიშვნები:

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის „საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (ბრძანების ნომერი № 2994892, 18.12.2016 და ქ. თბილისის მერიის განკარგულება 1–70 19.01.2017 წ.). პროექტის მიზანია მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის დაგეგმარება, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ გამოყენებით.

მიწის ნაკვეთის მდებარეობა და აღწერა:

არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, დიდ დიღომში. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.10.08.006.189, ხოლო ფართობი შეადგენს 1087 კვ.მ-ს. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მირიან მეფის ქუჩა, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან შიდა კვარტალური გზები.

პროექტის კონცეფცია. იდეა:

პროექტის კონცეფცია და მისი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტა განაპირობა მისმა ფუნქციამ და გარემომ, რომელიც გადაწყვეტილია თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის სტილში, სადაც მოსაპირკეთებელ მასალებად გამოყენებულია მაღალხარისხიანი ლესვა, ღებვა, ბუნებრივი ქვა, მუქი ფერის ლითონის პერბოლები და მოაჯირები და სხვა არქიტექტურული ელემენტები. ასევე, მუქი ყავისფერი მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

არსებული საპროექტო შენობის გაბარიტული ზომებია 33.0x17.0 მ. შენობა მიწის დონის ზემოთ 10-სართულიანია: საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე დაკავებულობებით და 1 მიწის დონის ქვედა სართული სასაწყობე (ავტოსადგომი) დაკავებულობით. შენობა განთავსებულია ნაკვეთის სიღრმეში, რაც განაპირობა „ჯორჯიან ვოტერ ენდ ფაუერის“ მოთხოვნამ საკომუნიკაციო ქსელებთან ობიექტის დადგენილი რეგულირების დაშორებამ. შესაბამისად ტერიტორიის წინა ნაწილში მოეწყო ავტოსადგომები და პანდუსი ნაწილობრივ გამწვანებით. ანალოგიურად გადაწყდა ტერიტორიის ჩრდილოეთი მხარე. შენობას გააჩნია 2 კიბის უჯრედი და 1 ლიფტი. შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებით (დეტალური აღწერა ასახულია, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ცხრილში), ხოლო მათ მოწყობას და შემდგომ ზედამხედველობას უზრუნველყოფს შესაბამისი სამსახური და სახანძრო სისტემების სპეციალისტი.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის სტრუქტურა წარმოადგენს საძირკვლის ფილაზე დაფუძნებულ სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან და სართულშუა გადახურვის ფილებისგან. შენობის სტრუქტურული ჩარჩო აკმაყოფილებს 3-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

დაგეგმარებისთვის გამოყენებული კანონმდებლობის აღწერა:

მრავალფუნქციური კომპლექსის შენობის და საპროექტო მიწის ნაკვეთის დაგეგმარებისთვის გამოყენებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №41, ტექნიკური რეგლამენტი –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, №57 და №14-39 დადგენილებები; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი. გამოყენებული წესები –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“.

ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

1. მიწის ნაკვეთის ფართობი: **1087.0 მ²**

2. განაშენიანების ფართობი: **604.2 მ²**

საერთო ფართობი: **4944.7 მ²**

მათ შორის: საცხოვრებელი ფართობი: **1998.1 მ²**

საზაფხულო ფართობი: **376.1 მ²**

კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი: **773.0 მ²**

ავტოფარეხის ფართობი: **444.2 მ²**

კომერციული ფართობი: **338.2 მ²**

საოფისე ფართობი: **1015.1 მ²**

3. სამშენებლო მოცულობა: **16675.0 მ³**

0.00 ნიშნულის ზევით: **15165.0 მ³**

0.00 ნიშნულის ქვევით: **1510.0 მ³**

4. კონსტრუქციული სიმაღლე: **39.2 მ**

0.00 ნიშნულის ზევით: **36.12 მ**

0.00 ნიშნულის ქვევით: **3.08 მ**

5. ავტოსადგომის ფართობი: **287.4 მ²**

განაშენიანების კოეფიციენტი **კ1 – 508.9/1087 = 0.5**

ინტენსივობის კოეფიციენტი **კ2 – 4595.7/1087 = 4.2**

გამწვანების კოეფიციენტი **კ3 – 231.8/1087 = 0.2**

საექსპერტო დასკვნა შეიცავს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებაში მოთხოვნილი საქართველოს მთავრობის დადგენილება №41 –„შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“-თან შესაბამისობას შემდეგ ნაწილებში:

1) დაკავებულობა და დაკავებულობის დატვირთვა:

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილ პროექტში ერთი მიწის დონის ქვედა და ათი მიწის დონის ზედა სართულია. დაკავებულობები კლასიფიცირებულია წესების **მე-3 თავის** მიხედვით და შეესაბამება **304, 309, 310** და **312 ქვეთავებს.**

პროექტში გამოყენებულია **სასაწყობო (სწ-2), სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობები.

<u>მიწის დონის ქვედა სართულზე</u> (-2.88 ნიშნული) განთავსებულია დახურული ავტოსადგომი **13** ავტომობილზე, რომელიც **312.1 ქვეთავის** თანახმად, კლასიფიცირებულია, როგორც **სასაწყობო** (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობა, ფართობით **444.2 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=24.**

<u>პირველ სართულზე</u> (0.00 ნიშნული) განთავსებულია კომერციული სივრცე, რომელიც **309.1 ქვეთავის** თანახმად, მიეკუთვნება **სავაჭრო (სვ)** ჯგუფის დაკავებულობას, ფართობით **338.2 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **2.8** და დაკავებულობის დატვირთვით **დდ=121;**

<u>მეორე - მეოთხე სართულები</u>ი (4.32, 7.52, 10.72 ნიშნულები) მთლიანად დათმობილი აქვს საოფისე ფართებს, რომელიც **304 ქვეთავის** მიხედვით, კლასიფიცირებულია, როგორც **საქმიანი (სქ)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **1164.0 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **9.3** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ = 126.**

<u>მეხუთე – მეათე სართულებზე</u> (**13.92, 17.12, 20.32, 23.52, 26.72** და **29.92** ნიშნულები) განთავსებულია საცხოვრებელი ბინები, რომელიც **310.4 ქვეთავის** შესაბამისად, კლასიფიცირებულია, როგორც **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობა, საერთო ფართობით **2225.3 მ^2**, დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორით **18.6** და საერთო დაკავებულობის დატვირთვით **დდ = 148.**

სართულზე განთავსებული თითოეული დაკავებულობის დატვირთვა გამოყვანილია, ამავე დაკავებულობების **თითოეულ სათავსოზე** გამოთვლილი დაკავებულობის დატვირთვების შეჯამებით.

2) კონსტრუქციის ტიპების კლასიფიცირება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები აკმაყოფილებს **601 ქვეთავის 601 ცხრილის** მოთხოვნებს. პროექტის მიხედვით ზემოთაღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი, აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე, შეადგენს 2-საათს და შეესაბამება **601 ცხრილში I- A** ტიპის კონსტრუქციისთვის მოთხოვნილ 2-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 1-საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმალურ ხანძარსაწინააღმდეგო 1-საათიან ხარისხს. კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601** და **602 ცხრილებში** მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

3) სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503-ე ცხრილის მიხედვით, **I-A** ტიპის კონსტრუქციის შენობისთვის დაშვებულია შეუზღუდავი სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი, ხოლო პროექტით წარმოდგენილია:

სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (დახურული ავტოფარეხი): სართული–**1**, სიმაღლე–**2.88 მ** და ფართობი–**444.2 მ²**;

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (კომერციული ფართი): სართული–**1**, სიმაღლე–**4.32 მ** და ფართობი–**338.2 მ²**;

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საოფისე ფართი): სართული–**3**, სიმაღლე–**9.60 მ** და ფართობი–**1164.0 მ²**;

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (საცხ. ბინები): სართული–**85**, სიმაღლე –**16.0 მ** და ფართობი – **2225.3 მ²**.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი პროექტი **10**-სართულიანია მიწის დონის ზემოთ, სიმაღლით–**36.12 მ**, განაშენიანების ფართობით – **595.7 მ²** და საერთო ფართობით–**4927.1 მ²**.

შემოთავაზებული ფართობების ჯამი–**4171.7 მ²**.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია წესების **მე-5 თავის 503-ე ცხრილის** მიხედვით, შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე და აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

4) გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელები.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელი, გასასვლელთან მისადგომი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის დაკავებულობების დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შენობა, ერთი მიწის დონის ქვედა და ათი მიწის დონის ზედა სართულით მარტივ რელიეფზეა განთავსებული. შენობას ორი გასასვლელი აქვს **„9–1“** ღერძების მხრიდან, მიწის დონის **0.00** ნიშნულზე მოწყობილ ბაქნებზე. შენობას გააჩნია ორი კიბის უჯრედი და ერთი ლიფტი, რომელთაგან ერთი გზა-კიბე და ლიფტი ემსახურება, როგორც მიწის დონის ქვედა სართულზე განთავსებულ დახურულ ავტოფარეხს, ასევე მიწის დონის ზედა სართულებს, ხოლო მეორე გზა-კიბე კი–მხოლოდ მიწის დონის ზედა სართულებს.
406.9.4.4 ქვეთავის მიხედვით, მიწის დონის ქვედა სართულზე განთავსებული, **13** ავტომობილისთვის გათვალისწინებული **დახურული ავტოფარეხის** შესასვლელის სიგანე **6.5** მეტრია, შესასვლელში ავტომობილების მოძრაობა ორმხრივია. **ავტოფარეხში** ჩასასვლელი **6.5** მეტრი სიგანის პანდუსი სწორხაზოვანია, რომლის დახრაც ნაწილობრივ **9 %** და ნაწილობრივ **6 %**-ია. **406.9.4.7 ქვეთავის** თანახმად, ავტომობილების რაოდენობიდან გამომდინარე დასაშვებია ორმხრივი შესასვლელ-გასასვლელიანი საავტომობილო გზა ან პანდუსი. ავტოსადგომში ავტომობილების მოძრაობა ცალმხრივია, ხოლო ავტომობილების მოხვევა ხდება საავტომობილო გზაზე, რომლის მოხვევის შიგა მინიმალური რადიუსი დასაშვებია და წარმოდგენილია **3.5** მეტრი, რაც აკმაყოფილებს **406.9.4.1** და **406.9.4.2 ქვეთავების** მოთხოვნებს.

1016.2 ცხრილის მიხედვით, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი დაშვებულია:
სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის ავტოსაშხეფი სისტემით –**120** მეტრი, **სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისათვის ავტოსაშხეფი სისტემის გარეშე–**60** მეტრი.

პროექტით, გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი წარმოდგენილია შემდეგნაირად:
სასაწყობო (სწ-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის – **21.8** მეტრი;
სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის – **16.5** მეტრი;
საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობისთვის – **17.2** მეტრი;
საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობებისთვის – **17.2** მეტრი.

საპროექტო შენობის დაკავებულობების გასასვლელისკენ სავალი მაქსიმალური მანძილი შეესაბამება **1016.2 ცხრილის** მოთხოვნებს.

შენობის დიაგონალი 31 მეტრია, ხოლო გასასვლელთან მისადგომებს შორის მინიმალური მანძილი 10.6 მეტრი, რაც სრულიად შეესაბამება **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

5) გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად. თითოეული გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6** მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია **1.1** მეტრი სიგანის გზა-კიბე, რაც შეესაბამება და მოთხოვნილს და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისათვის. გზა-კიბეები ასევე აკმაყოფილებენ **1009.7, 1009.8** და **1009.15 ქვეთავის** მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით. გზა-კიბეებში შემავალი და მიწისპირა სართულზე შენობიდან გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს **716.5 ქვეთავის** მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან **1009.3.1.1 ქვეთავის** მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება **2**-საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. დერეფნებში **1018.1 ცხრილის** მიხედვით დაყენებულია **903 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი ავტოსაშხეფი სისტემა, ხოლო დერეფნის კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვებ

მინიმუმზე (1 სთ) მეტი – 2 საათი. დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1018.2 ქვეთავის** და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (**1.2 მ**) მეტი და სართულებზე მოწყობილი დერეფნების მინიმალური სიგანე **1.80** მეტრია, რაც შეესაბამება და მეტია მოთხოვნილზე.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია **1008 ქვეთავის** შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას.
გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1008.1.1 ქვეთავის** და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.2 ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი **(5.1 მმ).** გასასვლელის გზა-კარების სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს **0.82** მეტრს, ხოლო არსებული პროექტით, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარის სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმალური **0.85** მეტრს.

6) მისაწვდომობის შეფასება.

1104.1 ქვეთავის თანახმად, მიწის ნაკვეთზე შესასვლელი ადგილები უზრუნველყოფილია მისაწვდომი სვლაგეზებით მისაწვდომი ავტოსადგომიდან.

მე-11 თავის მოთხოვნების შესაბამისად, გეგმაზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი და განსაზღვრულია მისაწვდომი შესასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **(შშმ)** პირის მისაწვდომობას ტუალეტებთან.
პროექტში გათვალისწინებულია **შშმ** პირთათვის მისაწვდომი ლიფტი, რომელიც ყველა სართულზე უზრუნველყოფს მისაწვდომობას.
1106.1 ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობის ტერიტორიაზე განთავსებულ, როგორც ღია ასევე დახურულ ავტოსადგომში, რომელიც

38 ავტომობილისთვისაა გათვალისწინებული, ორი მისაწვდომი ავტოსადგომია.

1107.6.1.1 ცხრილის შესაბამისად, საპროექტო შენობის **მეხუთე–მეათე** სართულებზე განთავსებული **40** საცხოვრებელი ერთეულიდან, **2** მისაწვდომია.

7) გარე კედლებისადმი მოთხოვნები.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი **2** საათს უდრის და აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მასალიდან და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე. სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები შეესაბამება **601 ცხრილში** მოთხოვნილ **1**-საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით:

„1 – 9“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **20.6** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე შეუზღუდავად, ხოლო წარმოდგენილია **31.2 %**.

„ა – ე“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **6.2** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **29 %**.

„9 – 1“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **6.2** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **15.9 %.**

„ე – ა“ ღერძებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი **6.1** მეტრია, ღიობების ფართობი დასაშვებია დაუცველი საშხეფის გარეშე **45 %**, ხოლო წარმოდგენილია **16 %**.

8) სახურავის ანაწყობების შეფასება.

საპროექტო შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა, ზედ მოწყობილი ლიფტის სამანქანო განყოფილებით და კიბის უჯრედის ამოსასვლელით. გადახურულია ბეტონის სახურავის ბურულით, რომელიც **1505.2 ქვეთავის** მიხედვით, **A** კლასის სახურავის ანაწყობებს მიეკუთვნება. ამავე ქვეთავის შესაბამისად, **A** კლასის სახურავის ანაწყობების გამოყენება ნებადართულია ყველა ტიპის შენობაზე ან ნაგებობაზე. ბეტონის სახურავის ბურულებზე, ჰიდროიზოლაცია მოწყობილია ისე, რომ კედლის ზედა ბურულების გადაბმების, პარაპეტის კედლების გადაკვეთის ადგილების დასახურავის ზედაპირზე არსებული სხვა ღიობების გავლით ნესტმა ვერ შეაღწიოს კედელსა და სახურავში, რაც შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს.

9) ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასება.

მე-10 თავის 1009.3.1.2 ქვეთავის თანახმად, ოთხი ან ოთხზე მეტი სართულის დამაკავშირებელი გასასვლელის ან გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი უნდა იყოს, არანაკლებ, **2** საათი. საპროექტო დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შენობის გამმიჯნავები დაკავებულობებს შორის და კიბის უჯრედისა და სავენტილაციო შახტების შემომზღუდავები, ასევე ორსაათიანი ცეცხლმედეგობისაა და შეესაბამება აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნებს. თარაზული ანაწყობების ცეცხლმედეგობა ორსაათიანია და შეესაბამება **707.3.10 ცხრილის** მოთხოვნებს.

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

903.2.8 ქვეთავის თანახმად, **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის შენობა, რომლის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე ზემოთ, ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

903.2.10 ქვეთავის შესაბამისად, **მიწის დონის ქვედა** სართულის, **სასაწყობო (სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობაში (**-2.88** ნიშნულზე), სადაც განთავსებულია **დახურული ავტოფარეხი**, მოწყობილია ავტოსაშხეფი სისტემა.

904 ქვეთავის მიხედვით, შენობა არ საჭიროებს ალტერნატიული ავტომატური ცეცხლსაქრობი სისტემის მოწყობას.

905.3.1 ქვეთავის მიხედვით, სახანძრო მილდგარების სისტემა მოწყობილია კიბის უჯრედებში.

906.1 ქვეთავის მიხედვით, ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია ყველა სართულის დერეფანში.

907 ქვეთავის შესაბამისად, სახანძრო განგაშის, კვამლაღმომჩენი და ცეცხლაღმომჩენი სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში.

907.2 ქვეთავის თანახმად, სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფი საჭირო არ არის (**სც-2**) ჯგუფის დაკავებულობებისთვის.

907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით, **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფისთვის, კვამლზე მორეაგირე მაუწყებლები, გათვალისწინებულია თითოეული ცალკეული საძინებელი ფართობის ჭერზე.

908 ქვეთავის მიხედვით, შენობა საავარიო განგაშის სისტემის მოწყობას არ საჭიროებს.

909 ქვეთავის შესაბამისად, კვამლის საკონტროლო სისტემები მოწყობილია მთელ შენობაში, ლიფტებსა და კიბის უჯრედში.

11. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება.

წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალური რაოდენობა გამოთვლილია **სავაჭრო (სვ), საქმიანი (სქ)** და **საცხოვრებელი (სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისთვის. გამოთვლისას მიღებული წილადი რიცხვი დამრგვალებულია მთელ რიცხვამდე და შეესაბამება **ცხრილი 1602.1-**ის მინიმალურ მოთხოვნებს. წყალსადენი სისტემების აუცილებელი ფიქსირებული მოწყობილობების მინიმალურმა რაოდენობამ შეადგინა:

პირველ სართულზე:

სავაჭრო (სვ) ჯგუფის დაკავებულობისთვის:

- 2 უნიტაზი და 2 ხელსაბანი;
- 1 სამომსახურეო ნიჟარა.

ეორე - მეოთხე სართულზე:

საქმიანი (სქ) ჯგუფის დაკავებულობებისთვის:

- 18 უნიტაზი და 18 ხელსაბანი;
- 3 სამომსახურეო ნიჟარა.

მეხუთე – მეათე სართულებზე:

საცხოვრებელი (სც-2) ჯგუფის დაკავებულობისთვის (54 ბინა):

- 40 უნიტაზი და 40 ხელსაბანი;
- 40 შხაპი;
- 40 სამზარეულოს ნიჟარა;
- 40 ავტომატური სარეცხის მისაერთებელი.

წარმოდგენილ პროექტში სრულადაა გათვალისწინებული **1602.1 ცხრილის** მოთხოვნები.

დასკვნა:

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, სოფელი დიღომი (ს/კ 01.72.14.035.142), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ინსპექტორი არქიტექტორი მადონა ბაკურაძე.



დიპლომი

ЛВ № 053723

ეს დიპლომი მიეცა მადონა
ალექსის ასული ბაკურაძეს
მასზე, რომ იგი 1978 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1984 წელს დაამთავრა
ამ ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
არქიტექტურის

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1984 წ.
„15" ივნისის გადაწყვეტილებით
მ. ი. ბაკურაძეს მიენიჭა
არქიტექტორის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1984წ. „19" ივნისი
სარეგისტრაციო № 2133

Грузинский из.

ДИПЛОМ

ЛВ № 053723

Настоящий диплом выдан Бакурадзе
Мадонне Алексеевне
в том, что он в 1978 году поступил
в Грузинский политехнический
институт им. В.И. Ленина
и в 1984 году окончил полный курс
названного
института
по специальности
архитектуры

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „15" июня 1984 г.
Бакурадзе М.А.
присвоена квалификация архитектора

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

м. п.

Город Тбилиси 19 „X" 1984г.
Регистрационный № 2133

Московская типография Гознака. 1983.

სამუშაო ადგილები:

1985 წ. - 1993 წ. - სსი „თბილქალაქპროექტი“ - ის ქალაქგეგმარების განყოფილება - არქიტექტორი.

1993 წ. - 1998 წ. - სსი „თბილქალაქპროექტი“ - ის N 16 არქიტექტურული სტუდია. - წამყვანი სპეციალისტი.

1198 წ. – 1999 წ. - ქ. თბილისის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის გენგეგმის ინსტიტუტი - წამყვანი სპეციალისტი.

1999 წ. - 2002 წ. - ქ. თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების სამსახური - წამყვანი სპეციალისტი.

2002 წ. - 2004 წ. - ქ. თბილისის გენერალური გეგმისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახური - წამყვანი სპეციალისტი.

2004 წ. - 2005 წ. - ქ. თბილისის გენერალური გეგმისა და პერსპექტიული განვითარების საქალაქო სამსახურის ქალაქმშენებლობის პოლიტიკისა და გეგმარების განყოფილება - წამყვანი სპეციალისტი.